21.04.2020

შემსუბუქების ღონისძიებები

ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის საწინააღმდეგოდ შემოთავაზებული ღონისძიებები მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მათ შორის ევროპის რეგიონში, გათვალისწინებულია და მიმდინარეობს. განსხვავებულია მათი დაწყების დრო, ღონისძიებების შემადგენლობა და ასევე - სტრატეგია, თუ როდის უნდა დაიწყოს შემამსუბუქებელი ღონისძიებები.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება და მოწოდებულია რამდენიმე ინდიკატორი, მათ შორის რეპლიკაციის სიხშირე $R_0 \leq 1$, დაინფიცირების მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 1 / 1 000 000 მოსახლეზე, სიკვდილიანობის მაჩვენებელი არის 0.3 / 1 000 000 მოსახლეზე და ა.შ.

ვინაიდან ამ მაჩვენებლების ზუსტი დადგენა ბევრ ტექნიკურ დეტალთან არის დაკავშირებული, რაც ამ ეტაპზე რთული დასადგენია ვირუსის ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ბუნების გამო (რეპლიკაციის სიხშირე, სერიული ინტერვალი, დაინფიცირებულების, მათ შორის ასიმტომურების ზუსტი რიცხვი, გარდაცვალების შემთხვევების ზუსტი რიცხვი და სხვა), რეკომენდირებულია, რომ ქვეყანა, სანამ დაიწყებს შემსუბუქების ღონისძიებების განხორციელებას, უნდა ქონდეს გამართული:

- გაძლიერებული ლაბორატორიული შესაძლებლობები, გაფართოებული ტესტირება, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა და ფართო ფენების მოცვა
- დადებითი შემთხვევების მიდევნება, კარანტინი /იზოლაცია, კონტაქტების მოძიება და მეთვალყურეობა
- მასიური შეკრებების ლიმიტირება
- ჯანდაცვის სისტემის სრული მზადყოფნა COVID-19 პაციენტების მკურნალობის უზრუნველსაყოფად
- სოციალური დისტანცირების შენარჩუნება
- პირადი და საზოგადო ჰიგიენის ნორმების დაცვა
- შემსუბუქების ღონისძიებების ეტაპობრივად დანერგვა, რათა იყოს გონივრული ვადა მიღებული შედეგების ანალიზისა და რეაგირებისთვის

ევროპის რიგმა ქვეყნება, მარტში დაწყებული მკაცრი პრევენციული ღონისძიებების და გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობების ეტაპობრივი შემსუბუქება გამოაცხადეს აპრილის ბოლო ტრიმესტრიდან. ამაში ხელშეწყობა და დახმარების პირობა ევროკავშირის პრეზიდენტმაც აღუთქვა.

გერმანია

- მოსახლეობა: 83 149 300
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 28.01.2020
- Lockdown შემოიღო: 22.03.2020 (იმავე პერიოდს ემთხვევა სავარაუდო პიკი)
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 20.04.2020 (29 დღის შემდეგ)
- დადასტურებული შემთხვევები: 141 672
    - დაინფიცირებულებიდან <70 წელი – 82%
    - დაინფიცირებულებიდან ≥70 წელი – 18%
    - ბოლო დღეებია ახალი შემთხვევების დღიური რაოდენობა მერყეობს 1 300 – 2 300 შორის
- გარდაცვალება: 3.1%
- შეფასებითი R_0= 0.9 (95% CI 0.8-1.1)
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 1.8 მილიონამდე; 22 000 / 1 000 000 მოსახლეზე. დღიური შესაძლებლობა უახლოვდება 50 000 ტესტს. ტესტირებაში ჩართულია 300 ლაბორატორიამდე



<u>შემსუბუქების ღონისძიებების პირობა:</u>

- პირველი ეტაპის ღონისძიებების მიღებიდან 14 დღის შემდეგ გაკეთდება ანალიზი. მთავრობა და ექსპერტები განმეორებით შეიკრიბებიან 30 აპრილს და განიხილავენ იმ დროისთვის არსებულ მდგომარეობას შემდგომი ნაბიჯებისთვის
- მოსახლეობამ უნდა სავალდებულო წესით ატაროს სოციალური ნიღაბი (DIY*) საზოგადო ტრანსპორტით მგზავრობისას, მაღაზიებსა და დახურულ სივრცეებში. ზოგიერთმა რეგიონმა დამოუკიდებლად ასევე ქუჩაში სავალდებულო ტარების რეგულაცია შემოიღო
- ყველა გახსნილმა სერვისულმა ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს სადეზინფექციო სითხეები შემსვლელთათვის ხელების დასამუშავებლად, რიგის დაცვა, გრძელი რიგის და შიგნით მომხმარებლების რაოდენობის გაკონტროლება
- სოციალური დისტანცირება უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ 3 მაისამდე

<u>გახსნის სქემა:</u>

20 აპრილი - 4 მაისი

მხოლოდ გარკვეული ბიზნესები დაიწყებენ ოპერირებას, მათ შორის მაღაზიები, რომელთა ფართი არის არანაკლებ 800 $მ^2$, მანქანებისა და ველოსიპეტების დილერი მაღაზიები, წიგნების მაღაზიები

4 მაისიდან

- თმის სალონები;
- სკოლების გახსნა, პირველ ეტაპზე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სწავლის აღდგენის პრიორიტეტით;

ბიზნესის სტიმულირებისთვის გამოყოფილია 750 მილიარდი ევრო.

* Do it yourself ნიღაბი

21.04.2020

ავსტრია

- მოსახლეობა: 8 902 600
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 25.02.2020
- Lockdown შემოიღო: 15.03.2020
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 14.04.2020 (30 დღის შემდეგ)
- სავარაუდო პიკი: 27.03.2020
- ახალი შემთხვევების კლება დაიწყო მარტის ბოლოდან
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 185 000; 22 000 / 1 000 000 მოსახლეზე. ამჟამად დღეში კეთდება 2 500 – 3 000 ტესტი.
- პიკის კვირაში ტარდებოდა დღეში დაახლოებით 5 000 ტესტი
- დადასტურებული შემთხვევები: 14 756
    - ბოლო კვირაა ახალი შემთხვევების დღიური რაოდენობა 100 შემთხვევაზე ნაკლებია
- გარდაცვალება: 52 / 1 000 000 მოსახლეზე

<u>წინაპირობა:</u>

- მოსახლეობამ უნდა სავალდებულო წესით ატაროს სოციალური ნიღაბი (DIY) ყველა ღია და საჯარო ადგილას, ასევე სუპერმარკეტებში, მაღაზიებში, საზოგადო ტრანსპორტში. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ნიღაბის ქონა (დეფიციტია), სავალდებულოა კაშნეთი სახის იგივე ნაწილის დაფარვა. მშობელი წყვეტს, ჭირდება თუ არა 0-5 წლამდე ბავშვს ნიღაბი
- თუ მანქანით მგზავრობისას მძღოლთან ერთად ზის ადამიანი არა მისი ოჯახიდან, სავალდებულოა მათთვის ნიღაბის ტარება (ტაქსი, პირადი მსუბუქი ავტომანქანა)
- სამუშაო ადგილებზე დამსაქმებელი წყვეტს ნიღაბის ტარების აუცილებლობას
- მიუხედავად ნიღაბისა, სავალდებულოა სოციალური დისტანციის 1.5 მეტრის დაცვა. გამონაკლისია ერთი ოჯახის წევრები
- Lockdown გარკვეული ღონისძიებები გრძელდება აპრილის ბოლომდე

<u>14 აპრილიდან:</u>

- რამდენიმე 1 000 სხვადასხვა ტიპის პატარა მაღაზია, მათ შორის კომპიუტერის, სამშენებლო და სარემონტო საშუალებების, სამეურნეო და ბაღის მოვლის საშუალებების

<u>1 მაისიდან:</u>

- სავაჭრო ცენტრები
- დიდი მაღაზიები
- თმის სალონები

21.04.2020

<u>15 მაისიდან:</u>

- რესტორნები
- მუზეუმები



21.04.2020

ნორვეგია

- მოსახლეობა: 5 368 000
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 26.02.2020
- Lockdown შემოიღო: 11.03.2020
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 20.04.2020 (1 თვისა და 1 კვირის შემდეგ), მას შემდეგ რაც ახალი შემთხვევების რიცხვი 100 დაბალია
- სავარაუდო პიკი: 28.03.2020
- ახალი შემთხვევების კლება დაიწყო აპრილის პირველი კვირიდან
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 143 255; 27 000 / 1 000 000 მოსახლეზე. ამჟამად დღეში კეთდება 2 500 – 3 500 ტესტი. ნორვეგიაში 20-ზე მეტი ლაბორატორია აკეთებს ტესტირებას, მათ შორის რამდენიმე კერძო
- პიკის კვირაში ტარდებოდა დღეში დაახლოებით 5 000 ტესტი
- დადასტურებული შემთხვევები: 7 156
    - ბოლო 10 დღეა 100 შემთხვევაზე ნაკლებია დღეში
    - ჰოსპიტალიზებულია 163 ადამიანი, აქედან ინტენსიურშია 58
- გარდაცვალება: 33 / 1 000 000 მოსახლეზე

<u>წინაპირობა:</u>

შემუშავებულია სპეციალური მობილურის აპლიკაცია, სადაც უნდა იყოს დარეგისტრირებული ყველა გრიპისმაგვარი სიპტომებით, შემდგომი ტესტირებისთვის

<u>შემსუბუქების ღონისძიებები:</u>

<u>20 აპრილიდან</u>

- გაიხსნა საბავშვო ბაღები
- დაწყებითი კლასები

<u>27 აპრილიდან</u>

- უნივერსიტეტები
- სკოლები
- თმის სალონები
- მასაჟის კაბინეტები

- სილამაზის სალონები

<u>15 ივნისი</u>

- საჯარო და სპორტული შეკრებები
- მუზეუმები



21.04.2020

დანია

- მოსახლეობა: 5 806 000
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 27.02.2020
- Lockdown შემოიღო: 13.03.2020
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 15.04.2020 (1 თვის შემდეგ)
- სავარაუდო პიკი: 3.04-9.04.2020 პერიოდში
- ახალი შემთხვევების კლება დაიწყო 10 აპრილის შემდეგ და ჩამოვიდა 200 შემთხვევის ქვევით
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 96 244; 18 000 / 1 000 000 მოსახლეზე. ამჟამად დღეში კეთდება 2 000 ტესტი. პიკის კვირაში ტარდებოდა დღეში დაახლოებით 6 000 ტესტი
- დადასტურებული შემთხვევები: 7 515
- გარდაცვალება: 63 / 1 000 000 მოსახლეზე

<u>წინაპირობა:</u>

- სოციალური დისტანცირება
- პირადი და საჯარო ჰიგიენა
- 20-26 აპრილის შუალედში მოხდება შეკრება და შეთანხმება, რომელი დამატებითი შემსუბუქების ღონისძიებაა შესაძლებელი

<u>14 აპრილიდან:</u>

- დაწყებითი სკოლები
- დღის ზრუნვის ცენტრები (საბავშვო ბაღები)
- სპეციალიზირებული სკოლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის - ყველა კლასი
- სავაჭრო ორგანიზაციებისა და ასოციაციების, თუ გარანტირებულად იქნება უზრუნველყოფილი თანამშრომლების უსაფრთხოება
- საზოგადო ტრანსპორტის ერთეულების დამატება (lockdown დროს მინიმუმამდე იყო დაყვანილი)

<u>20 აპრილიდან:</u>

- გაიხსნა მანქანის ტარების სასწავლი სკოლები
- თმის სალონები
- სილამაზის, გასარუჯი და მასაჟის სალონები
- სპა კლინიკები
- ტატუს და პირსინგის სალონები

- ოპტიკები
- ფსიქოლოგები
- სტომატოლოგიურები
- აუდიოლოგები
- კერძო კლინიკები

<u>11 მაისიდან იგეგმება გახსნა:</u>

- სკოლები და უმაღლესები
- ეკლესიები და რელიგიური დაწესებულებები
- მუზეუმები
- ღამის კლუბები, ბარები, რესტორნები, კაფეები
- არასტრატეგიული, საჯარო დაწესებულებები
- 10 და ნაკლები ადამიანის მონაწილეობით ღონისძიებები. ამაზე დიდი რაოდენობით ადამიანების მონაწილეობით აკრძალულია 31 აგვისტომდე
- სავაჭრო ცენტრები
- კინო, თეატრი, საცურაო აუზი



იტალია

- მოსახლეობა: 60 360 000
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 23.01.2020
- Lockdown შემოიღო: 9.03.2020
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 14.04.2020 (1 თვის და 1 კვირის შემდეგ)
- სავარაუდო პიკი: 21.03.2020 პერიოდში
- ახალი შემთხვევების კლება დაიწყო 10 აპრილის შემდეგ და ჩამოვიდა 200 შემთხვევის ქვევით
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 1 398 024; 23 162 / 1 000 000 მოსახლეზე. ამჟამად დღეში კეთდება 40 000 ტესტი. პიკის კვირაში ასევე ტარდებოდა დღეში დაახლოებით 40 000 ტესტი და შემდეგ მოიმატა. ამჟამად ტესტირების საჭიროება შემცირებულია
- დადასტურებული შემთხვევები: 181 228
- გარდაცვალება: 399 / 1 000 000 მოსახლეზე

<u>წინაპირობა:</u>

- სოციალური დისტანცირება
- პირადი და საჯარო ჰიგიენა

<u>14 აპრილიდან[†]:</u>

- წიგნის მაღაზიები
- საკანცელარიოები
- ბავშვის ტანსაცმლის მაღაზიები
- კომპიუტერი მაღზიები

გადაიხედება 4 მაისს

[†] შემსუბუქება არ ეხება ჩრდილოეთ იტალიის დაზიანებულ რეგიონებს

21.04.2020



ესპანეთი

- მოსახლეობა: 47 007 000
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 31.01.2020
- Lockdown შემოიღო: 13.03.2020[‡]
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 14.04.2020 (1 თვის შემდეგ)
- სავარაუდო პიკი: 25.03-31.03.2020 პერიოდში
- ახალი შემთხვევების მცირე ტემპით იკლებს, 20.04.2020 ქონდათ 400 ნაკლები ახალი შემთხვევა, პირველად ბოლო ერთი თვის მანძილზე
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 930 230; 19 905 / 1 000 000 მოსახლეზე.
- დადასტურებული შემთხვევები: 200 210
- გარდაცვალება: 446 / 1 000 000 მოსახლეზე

<u>წინაპირობა:</u>

- სოციალური დისტანცირება
- პირადი და საჯარო ჰიგიენა
- ნიღაბების ტარება, რომელსაც არიგებს წითელი ჯვრის წარმომადგენლები. ამის გარეშე არ დაიშვებიან საჯარო ადგილებსა და ტრანსპორტში

<u>14.04.2020</u>

- გაიხსნა დიდი ქარხნები
- მშენებლობები

<u>27.04.2020 (სავარაუდოდ)</u>

- ბარები, რესტორნები, საჯარო დაწესებულებები
- ბავშვებს მიეცემათ ჰაერზე მშობლებთან ერთად გარკვეული პერიოდით სეირნობის უფლება, მაგრამ არა სხვა ბავშვებთან თამაშის უფლება[§]

გადაიხედება 3 მაისისთვის.

[‡] ყველაზე მკაცრი ღონისძიებებით ევროპაში

[§] ამ პერიოდისთვის შესრულდება 7 კვირა, რაც ბავშვები გარეთ არ დაიშვებოდნენ

21.04.2020


250000
200000
150000
100000
50000
0
10000
9000
8000
7000
6000
5000
4000
3000
2000
1000
0
Local transmission
Lockdown
195944

21.04.2020

ჩეხეთი

- მოსახლეობა: 10 650 000
- პირველი შემთხვევა დაფიქსირდა: 1.03.2020
- Lockdown შემოიღო: 12.03.2020
- შემსუბუქების ღონისძიებები დაიწყო: 20.04.2020 (1 თვის და 1 კვირის შემდეგშემდეგ)
- სავარაუდო პიკი: 25.03-03.04.2020 პერიოდში
- ჩატარებული ტესტები: ჯამში 170 000; 16 679 / 1 000 000 მოსახლეზე. პიკის კვირაში ტარდებოდა დღეში დაახლოებით 8 000 ტესტი. ამჟამად 4 000 ტესტი კეთდება
- დადასტურებული შემთხვევები: 6 914
- გარდაცვალება: 18 / 1 000 000 მოსახლეზე

მთავრობამ შეიმუშავა შემსუბუქების ღონისძიებების 5 საფეხურიანი გეგმა

<u>I საფეხური, 20.04.2020 გაიხსნა</u>

- აგრარული ბაზრები
- მანქანების მაღაზიები
- სახელოსნოები
- ძაღლების მოსავლელი სალონები
- პატარა ბიზნესები
- ჩეხეთის მოქალაქეებს შეუძლიათ ქვეყნის საზღვრების დატოვება, დაბრუნების შემდეგ 2 კვირიანი სავალდებულო კარანტინის პირობით

<u>V საფეხური, 8.06.2020</u>

- ყველა ბიზნესი
- ბარები, კაფეები, რესტორნები, სასტუმროები

21.04.2020


Local transmission
Lockdown
6000
8000
7000
6000
5000
4000
3000
2000
1000
0
400
350
300
250
200
150
100
50
0

შემსუბუქების ღონისძიებები ასევე განხორციელდა:

- ლუქსემბურგში, გაიხსნა დამამთავრებელი კლასები. 4 მაისიდან გაიხსნება ყველა კლასი, მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს კლასები ერთი კვირა ისწავლიან სკოლაში, ერთი კვირა სახლში
- პოლონეთში უფლება მიეცა მოსახლეობას პარკში და ტყეში გავიდეს. გაიზარდა მაღაზიებში კლიენტების ერთდროულად შესვლის რაოდენობა
- ალბანეთში მოიხსნა შეზღუდვა გარკვეულ ბიზნესებზე, მათ შორის ნავთობისა და სამთო ბიზნესზე
- ბელგიაში ნება მიეცათ ტექნიკის და ბაღის მოვლის საშუალებების მაღაზიებს გაიხსნან, იგივე პირობებით, რაც სასურსათო მაღაზიებს აქვთ
- ბულგარეთში აგრარული ბაზრები გაიხსნა
- სლოვენიაში ნება დართეს ახლო კონტაქტის საჭიროების არ მქონე სპორტული აქტივობების განხორციელებაზე (ტენისი, ველოსპორტი) და მოსახლეობას უფლება მიეცა აგარაკზე წავიდეს
- შვეიცარიაში (27 აპრილიდან) ყველა ჰოსპიტალის, თმის, სილამაზის და მასაჟის სალონების გახსნა; (11 მაისიდან) დაწყებითი კლასები, ბაზრები და მაღაზიები; (8 ივნისი) ყველა კლასი და უნივერსიტეტები და მოიხსნება შეზღუდვა მაქსიმუმ 8 ადამიანის შეკრებაზე
- ისრაელში გაიხსნა ტექნიკის და საკანცელარიო მაღაზიები, სავარჯიშო დარბაზები, რომელიც არის საცხოვრებელი სახლიდან მაქსიმუმ 500 მეტრზე, რელიგიური დაწესებულების გარეთ (ეზოში) ლოცვა მაქსიმუმ 19 ადამიანისთვის, 2 მეტრიანი სოციალური დისტანციის დაცვით. სავალდებულოა DIY ნიღაბის ტარება